წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი, 5 მარიამოგისთვე 1916 წ. № 174

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადებების ფასი. ჩვეულებრივი სტრ[illegible] ქნილზე—10 კ. [illegible] დებულ განცხადებაში [illegible] ქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელ. 1 მ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

## ახალი მელანი

### კოტე ონიკაშვილისა

დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში

ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., $^1/_2$ გირვანქა—50 კაპ. $^1/_4$ გირვანქა—30 კაპ.

ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.

გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაიგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.

მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

სავაჭრო სახლი

## „მმ. სესიევები და ამხ."

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

ექიმი

### მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

### ვამზადებთ პიროებით

პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე.

მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-15)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

### ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

### ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი-დოსტაქარი

### გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

### მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

### ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

### კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

დ. ზესტაფონში

ექიმი

### დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

## თბილისი, 5 მარიამობისთვე.

**პერსპექტივები.** რუსეთის პოლიტიკა თან და თან თავს აღწევს ძველს ანარქიულ ზნესა და დროს, როდესაც მას აკლდა მიზანშეწონილი მოქმედება და ყველაფერს შემთხვევითი ხასიათი და უსისტემობა ეტყობოდა. დღეს იგი, მგზავსად ევროპის ტრადიცია—მდიდარ სახელმწიფოთა, გულაუცრუებლივ და შეუდრეკელად ანაღდებს იმას, რაც ყოველი სახელმწიფოს დანიშნულების დედა-აზრს შეადგენს. რუსეთის დიდი და ძლიერი სახელმწიფო შექმნილია ველიკოროსის მიერ. ამ სახელმწიფოს საძირეველი, ან უკეთ ბირთვი, რომელმაც სხვა ერი შემოიკრიბა და დაიმორჩილა, ველიკოროსი გახლავთ. და მთელი სახელმწიფო ორგანიზაცია აღმსრულებელი აგენტია სწორედ იმისა, რაც ამ ხელმწიფე ერს უჯობს. სახელმწიფო განმამტკიცებელია და განმახორციელებელი ამ ერის სურვილებისა და ზრახვათა. ცხადია, რომ სახელმწიფო ამ თავის დანიშნულებას ვერ უღალატებს და მის წარმომშობ ერის ინტერესის არც თანასწორად და, მით უმეტეს, არც მასზედ მაღლა სხვა დამორჩილებული ერის ინტერესს ვერ დააყენებს. კოლონიზაციის საკითხი ისეთი საკითხია, რომელიც ხელმწიფე ერის სუვერენულ უფლებისა და მის სახის შორს გატანას და მკვიდრად დაფუძნებას შეიცავს და რომელსაც ყოველი სახელმწიფოს ცხოვრებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული; ზოგან ცალკე სამინისტროებიც არის შექმნილი ამ საკითხის მოსაგვარებლად. რუსეთშიაც დიდი ხნიდან აქცევენ მას ყურადღებას. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჯერ ჩრდილო კავკასია და მერე ამიერი კავკასიაც რუსის მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკის საექსპერიმენტო ასპარეზად არის გადაქცეული. სახელმწიფო ცდილობს იმ უცხო ერებში, რომელნიც რუსეთის ფარგალს მოჰყვნენ, ჩაასახლოს რუსი, რომელიც რუსის სახელმწიფოებრიობის მატარებელია გენეტიურად. მთავრობა მარტო ამ ელემენტს უცხადებს თავის ნდობას; უცხო ერთა შორის ჩასახლებული რუსობა იმ ყავარჯენად მიაჩნია, რომელსაც თამამად დაეყრდნობა მთავრობა, როგორც მშვიდობიანობის დროს თავის გარუსების პოლიტიკის გასაყვანად, ისე არეულობისა, ომიანობისა ან სხვა რომელიმე მოძრაობის დროს. საკოლონიზაციო პოლიტიკა ყოველს პირობებში ერთნაირის ნაბიჯით ვეღარ მიდის, ხან ჩქარია მისი ტემპი, ხან ნელი. ომიანობა ერთი საუკეთესო პირობაა საკოლონიზაციო პოლიტიკის საწარმოებლად en grand. და რუსეთის მთავრობამაც კარგა ხანია რაც ამ მხრივ თადარიგი დაიჭირა. ამ თებერვალ-მარტში, დაჟინებით ამბობდენ, მთავრობას განზრახული აქვს შავი ზღვის ნაპირები, ე. ი. საქართველოს სანაპირო ადგილები რუსის ოფიცრებით დაასახლოსო. ამ მიზნით მთავრობამ მომქმედ ჯარში მსურველებიც კი მოიკითხა. მას აქეთია ამ საქმისა არა ისმის-რა.

მაგრამ თუ ჩვენი შავი ზღვის ნაპირების რუსის ოფიცრებით დასახლების შესახებ არაფერი ვიცით, ან თუ არაფერიც სწარმოებს, სამაგიეროთ ცნობილია, რომ მთავრობა შეუდგა ოსმალეთის დაპყრობილ სომხეთის ფართე კოლონიზაციას.

ამ გარემოებაზედ ჩვენი საზოგადოების ყურადღების შეჩერება ძალიან საჭიროა; ჭკუის მასწავლებელ გაკვეთილად გამოდგება. ოსმალეთის კოლონიზაციის პროექტი ჯერ სახელ. სათათბიროში ახსენეს. სათანადო უწყება ამ პროექტს დიდის მუყაითობით და სისწორით ამუშავებს. სამხედრო სამინისტრო და გადასახლების მთავარ სამართველო შეთანხმებულათ მუშაობენ ყველა იმ საკითხის გადასაჭრელათ, რომელსაც კავშირი აქვს ამ კოლონიზაციასთან. საკოლონიზაციო ადგილებად მიჩნეულია არა მარტო რუსეთის მოსაზღვრე ადგილები, არამედ შიდა ადგილებიც, როგორც მაგალითად მეტად ნაყოფიერი მუშის ვაკე. საკოლონიზაციო რაიონების შესასწავლად, გაგზავნილია გადასახლების მთავარ სამართველოს უფროსის თანაშემწე, კამერ იუნკერ ტატიშჩევი. უნდა გამოიკვლიონ თავისუფალი მიწის ფონდი და ბუნება, მდებარეობა დასასახლებელი ადგილებისა. დამზადებულია საგანგებო, ეგრედ წოდებული უიარაღო მუშათა რაზმები; ჯერ ხუთი ასეთი რაზმია მოწყობილი, თითოში ათასი კაცი ირიცხება. წესად არის დადებული, რომ არც ერთი ქართველი და არც ერთი სომეხი ამ რაზმებში არ მიიღონ. ეს რაზმები ადგილობრივ მოამზადებენ ნიადაგს და პირობებს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მომავალ გადმოსახლებულისათვის. უწინარეს ყოვლისა ამ რაზმების ოჯახების მოპატიჟება განზრახული. შემდეგ განსაკუთრებული უპირატესობა კაზაკებს მიეცემა, როგორც ისეთ ელემენტს, რომელიც ყველაზე უფრო ერთგულად არის ცნობილი. წინასწარი მუშაობა უკვე ბევრ ადგილას სწარმოებს. კერძოდ ალაშქერთის, ბაიაზეთის და დიადინის ველებზე ეს მუშაობა მიწების იჯარით გაცემის სახით სწარმოებს. გენერალ იუდენიჩის ბრძანებით იჯარით სარგებლობის უფლება მარტო რუსებსა და კაზაკებს აქვს. ადგილობრივ მკვიდრებიდან ამ ადგილებში დაბრუნების უფლება მხოლოდ იმას ეძლეოდა, ვინც საბუთებით და „კუპჩით" დაამტკიცებდა თავის უფლებას დაჭერილ მიწაზედ. ხოლო რადგან ოსმალეთის სახელმწიფოში მიწის მფლობელობა სხვა საფუძველზეა აგებული და არავითარი „კუპჩა" იქ არ არსებობს, ცხადია გენერალი იუდენიჩის ბრძანებით თითქმის ვერც ერთი ადგილობრივი მკვიდრი (სომეხი) ვერ ისარგებლებს.

ამ რიგად თუ რუსის მხედრობამ იმარჯვა და დაპყრობილი ადგილები ბოლომდე შეირჩინა, ოსმალეთის სომხეთი, რუსის ხალხის, განსაკუთრებით კაზაკების სამკვიდრებელად გარდაიქცევა. მართლაც, ამ ადგილების სომხობის დიდი ნაწილი ოსმალებმა ამოსწყვიტეს, რამდენიმე მესოპოტამიაში გადაასახლეს, მხოლოდ მცირე ნაწილი რუსეთს შეეხიზნა. და ეს უსომხებოთ დარჩენილი სომხეთი ამ ნაირად გადმოსახლებულ რუსების სამშობლოდ უნდა გადაიქცეს! ხოლო თუ ღმერთი გასწყრა და რუსის ჯარი იძულებული გახდა ეს ადგილები დასტოვოს, მაშინ საკოლონიზაციო ასპარეზი უფრო მახლობელ რაიონში იქნება გადმოტანილი, და დღეს, რამოდენიმეთ მივიწყებული პროექტი საქართველოს სანაპიროების რუსებით დასახლებისა, მაშინ სააშკარაოზედ გამოტანილი იქნება და საერთო ყურადღების საგნად გახდება. მთავრობის საკოლონიზაციო პოლიტიკა მთელის თავის სიმძაფრით საქართველოს დაატყდება!

## ქართველი მაჰმადიანების მიწების გარშემო

მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის სამმართველო კარგა ხანია იკვლევს იმ მიწების რაოდენობას, რომელიც იძულებით დასტოვეს ის ბათომის ოლქის მცხოვრებმა ქართველმა მაჰმადიანებმა და დღეს თავისუფალს ფონდს წარმოადგენს. ხსენებული სამართველო ამუშავებს პროექტს, თუ რა წესით უნდა მოუაროს ამ მიწებს და როგორ გამოიყენოს. ჩვენ ჩვეული არა ვართ იმას, რომ ადგილობრივი სამმართველოთა მიზანი და პრაქტიკა ქართველი ერის საჭიროებას შეეწონებოდეს და ანგარიშს უწევდეს ჩვენი ხალხის არსებით ინტერესს. ჩვენ არ ვიცით, თუ რა სიურპრიზი დაგვატყდება თავს ამ მხრივ. მაგრამ წარსულის გამოცდილება და ის ღონისძიება, რომელსაც მთავრობა ხმარობს ოსმალეთის დაპყრობილ სომხეთში განთავისუფლებული ადგილების საკოლონიზაციოდ, იმედის უფლებას არ უნდა გვაძლევდეს.

იმ დაწესებულებამ, რომელსაც დავალებული აქვს სახელმწიფოს ინტერესის თვალსაზრისით სჭრას და ჰკეროს მის სამოქმედო ფარგალში მოქცეული საქართველოს მიწა-წყალი, ცხადია თვისი დანიშნულება უნდა უკლებლივ შეასრულოს. მისგან სხვა რამეს მოთხოვნა სრული ულოღიკობა და პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა. ამიტომაც ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა და პრესამ ამ თავითვე უნდა დაიჭიროს სათანადო თადარიგი და ეცადოს დროით გაიგოს და გაეცნოს ყველა იმას, რაც ხსენებულ სამართველოში კეთდება. ბათომის ოლქის „თავისუფალ" ადგილების შესახებ ჩვენი ინტერესის დაცვა ჩვენი საქმეა. მართალია, დღეს რუსული პრესა და საზოგადოება ჰკიცხავს იმ პოლიტიკას და მოქმედებას, რომელსაც მთავრობა დაადგა გალიციასა და ბუკოვინაში პირველ დაპყრობისათანავე. თვით რეაქციონური რუსეთიც კი გმობს დღეს ეპისკოპოზ ევლოხის მოქმედებას და სამოქალაქო მართებლობის იმ ღონისძიებათა მთელ რიგს, რომელიც ესე უდიერად მოეპყრა გალიციის უკრაინელთ და გამოიწვია ამ ხალხის სულიერი ცხოვრების სრული გაუქმება, სკოლების, საგანმანათლებლო დაწესებულებათა, კოოპერატივებისა და სხვათა დაკეტვა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ აქ საქმე შეეხება შესაძენ განაპირა ქვეყანას, რომელიც დღეს განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს წმინდა სამხედრო თვალსაზრისით. ამიტომაც საჭირო შეიქმნა მობოდიშება და მოფერება. ტყუილია ერთად ცხოვრება, თუ პირველსავე დღეს შენს პატარა რძალს მათრახითა და მუგუზლით შეეგებე. რუსეთის სახელმწიფოს ფარგალში რუსისა და სხვა ერებთან თანამშრომლობაზე გალიციას ევლოხები და დუდიკევიჩები ცხადია, რომ ვერ წაახალისებენ. რუსის საზოგადოებრივი აზრის ასეთი ყურადღება გალიცია-ბუკოვინისადმი ამ იშვიათი გარემოებით არის გამოწვეული. ჩვენ კი სხვა განაპირა ქვეყნებს პატარძლის უფლება დაკარგული გვაქვს და ამიტომაც არაოფიციალი და საზოგადოებრივი რუსეთი სწორედ მუგუზლითა და მათრახით გვიმასპინძლდება. ამ ქვეყნის რღვევის დროს რუსის მოხელეებს იმისთვის მოუცლიათ, რომ ქართული ეროვნული თავმოყარეობა როგორმე გააღიზიონ, რომ ავტოკეფალიაზე ლაპარაკი მოეშალათ, დაგვემუქრენ საექსარხოსოს გაუქმებით; საეკლესიო ბეჭდებზე ქართულ წარწერებს დევნა დაუწყეს, ქართველ მოსამსახურეთ ითხოვენ ქალაქთა კავშირების ორგანიზაციებიდან, სდევნიან ქართულ ენას პირველ დაწყებით სკოლებში წინააღმდეგ 1882 წლის კანონისა, სოხუმის სახალხო ინსპექტორი გზას უშორავს წერა-კითხვის საზოგადოებას, რომლის მოღვაწეობა, მიზანი და პროგრამა საქვეყნოთ ცნობილია და რომელსაც აგერ 37 წლის ეჭვ-უკრავი და უთაკილო არსებობა აქვს. აი რითი ირთობს თავს ზოგიერთი ადგილობრივი მოხელე, რომელიც აქამდის წარსული საერთო პოლიტიკის პატარა ამსრულებელი აგენტია. ხოლო რუსეთის საზოგადოებას და პრესას საჭიროთ არასდროს არ დაუნახავს ამის წინააღმდეგ ხმა ამოეღო და გაელაშქრა. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა ქუთაისის განყოფილებამ ძალიანი უსამართლობაც თავზე რომ დაგვატეხოს, რუსული საზოგადოებრივი აზრი და პრესა ხმას არც მაშინ ამოიღებს. ამაზედ ორი აზრის ქონა პირდაპირ შეუძლებელია.

ვიმეორებთ, ჩვენი ინტერესი ჩვენვე უნდა დავიცვათ და ამისთვის კი საჭიროა სიფრთხილე და მოქმედება. ქართველ მაჰმადიანების მიწა საქართველოს და ქართველებს არ უნდა გამოეწიროს, თუ ღმერთი გაწყრა და გარდახვეწილი მოძმენი უკან არ დაბრუნდენ.

## ეროვნული ვითარება

**პოლონეთის პოლიტიკა.** მკათათვის 25 ისტორიულ დღეთ ჩაიწერება პოლონელთა მატიანეში; ამ დღეს პირველად შეიკრიბნენ ახლად არჩეულ ვარშავის ქალაქის თვითმართველობის წევრნი; როგორც მოველოდით, მათი პირველი სიტყვა და საქმე სამშობლოს პოლიტიკას შეეხება და არა მეურნეობას.

პირველად კრებას მისალმებია ვარშავის ქალაქის თავი თ. ზძისლავ ლიუბომირსკი შემდეგი სიტყვებით (მოგვყავს „რუს. ვედ." გარდმოცემით, № 175)—„ყველა ჩვენგანს ერთი აზრი და ერთი ნება, ასულდგმულებს—პირნათლი შესრულება ჩვენი მოვალეობისა პოლონეთის აღდგენის და დამოუკიდებლობის წინა დღეს".

მეორე სიტყვა წარმოუთქვამს ვარშავის პოლონელ უნივერსიტეტის რექტორს, ბრუძინსკის, რომელსაც დაუხასიათებია ქალაქის თვითმართველობის მომავალ მუშაობას, როგორც „შექმნა საზოგადოებრივ ცხოვრების ზნეობრივ და ბუნებით ჯანსაღ პირობათ და დაწყობა სამეურნეო წარმოებისა და განაწილების საქმისა".

ამის შემდეგ ხმოსან ბობინსკის წაუკითხავს ვარშავის თვითმართველობაში შესულ ყველა პარტიულ ჯგუფთა მიერ შედგენილი საერთო დეკლარაცია, რომელიც ამბობს:

— „ჩვენი ქალაქის თვითმართველობას წილად ხვდა სიცოცხლის დაწყება იმ ომის უძლიერეს მძვინვარების დროს, რომელმაც ქონებრივ გაჭირვების მძიმე ტვირთთან ერთად მისცა პოლონელ ერს იმედი საკუთარ სახელმწიფოს აღდგენისა.

შევიმეცნეთ რა სიდიადე იმ აწმყო ისტორიულ წამისა, რომელმაც გააღვიძა ერში ეგრეთი იმედები, ჩვენ პოლონელი დედა-ქალაქისა პირველი მმართველობა, არჩეული სხვა და სხვა გვარ პოლიტიკურ დასთა მამულიშვილური შეთანხმებით, ვაცხადებთ საქვეყნოდ, რომ მთელ ჩვენს ძალას და ხიჭს შევსწირავთ მისთვის, რათა დედა-ქალაქის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება განვითარდეს ეროვნულ ნიადაგზე. ჩვენ გვწამს, რომ ვარშავის თვითმართველობა პირველი ნაბიჯია პოლონური სახელმწიფოს აღდგენისათვის. უწმიდესი მიზანი სწორედ იგია, რასაც ეძიებდა ჩვენი ერი წარსულში და ეძიებს აწმყოში—შექმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოსი, რომელსაც თან უნდა ახლდეს ყოველივე საშუალება, გამომხატველი და საწინდარი მისი თავისუფლებისა.

გვწამს რა, რომ ეს ომი განახორციელებს ამ დიდ მიზანს, სალამს ვუძღვნით მამულის ერთგულ შვილთ, რომელნიც ჰლეიდნენ და ღვრიან ახლაც თავიანთ სისხლს სამშობლოს თავისუფლებისათვისო".

ამ დეკლარაციის შემდგომ კვლავ ულაპარაკნია ბრუძინსკის, რომელსაც აღუნიშნავს დიდი მნიშვნელობა იმ ფაქტისა, რომ ყველა პარტიული ჯგუფები შეერთდა სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

დაბოლოს წაუკითხავთ სალამი, მოძღვნილი ქალაქ კრაკოვის მმართველობისგან; სალამში აღნიშნულია ის გარემოება, რომ თუ ომის დაწყებისას პოლონელ ერის სხვა და სხვა წრეებში არსებობდა რაიმე აზრთა შეუდგომლობა, იგი ყოფილა მხოლოდ ზერეული და ხელიც არ შეუშლია ერის ძირითად ლტოლვათა ერთნაირობისათვის. ეს განსაკუთრებით გამოცხადდა სწორედ ახლა, როდესაც პოლონეთის დედა-ქალაქმა ვარშავამაც გამოიჩინა დიდი პოლიტიკური გონება და შეაერთა ყველა პარტიები ერთი მიზნის მისაღწევად; და აი კრაკოვიც, რომელშიაც პარტიათა ეროვნული შეთანხმება მოხდა კიდევ უფრო ადრე, იჩქარის განუცხადოს ვარშავას, რომ ისინი ამიერიდან არიან და უნდა დარჩნენ საუკუნოდ განუყრელნი როგორც ორი ძალოვანი დაუქცეველი იმ თავისუფალ სახელმწიფოს შენობისა, რომლის აღდგომას ჩვენ უდრეკელად ველით და რომლის აგებაზე როგორც თქვენ, ისე ჩვენ ხელგაუჩერებლივ ვამუშავებთო".

**სომხური გაზეთი „არევი"** ეხება სამშობლო მწერლობის დაქვეითებას და სამართლიანად სწერს: „ეროვნული მწერლობის განვითარების პირობებს ვერ განვიხილავთ ჩვენი პოლიტიკური საკითხის და ეროვნული თვითდაცვის დამოუკიდებლად; სანამ ჩვენი ერი არ მოიპოვებს თავისუფალი ცხოვრების შეძლებას, მანამ სამშობლო ენის, სკოლის და მწერლობის მდგომარეობა სავალალო იქნებაო; მხოლოდ პოლიტიკურ უფლებების მოპოვებას ძალუძს საეროვნო კულტურულ დაწესებულებათა გამოცოცხლებაო, და მხოლოდ თავისუფალი სამშობლო მოსპობს იმ ხელშემშლელ პირობებს, რომელნიც მუდამ ჟამ სულს უხუთავს ჩვენს ენას და მწერლობასო.

თუ რა ხასიათის უნდა იყოს ერის თავისუფლება—ამაზე მსჯელობა ახლა უდროვო არისო".

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

[illegible] ორივეს მხრიდან ასეთი სიმკაცრე. ავსტრიელებმა, რომ მართლაც შესძლონ აქ რუსეთის ბრძოლის ხაზის გარღვევა, არა თუ ზოლოტაია ლიპაზე მომქმედი რუსეთის ჯარი, თვით სტანისლავოვაც კი განსაცდელში ჩავარდება. გარდა ამისა უნგრეთიდან მომავალი რკინის გზაც განთავისუფლდება და საშუალება მიეცემათ ავსტრიელებს ჯარი მიიშველონ. სწორეთ ესაა მიზეზი, რომ რუსები ამ ადგილებს მეტს ყურადღებას აქცევენ, ნელ-ნელა წინ მიიწევენ. რაკი აქ, ბრძოლა ხელსაყრელად დამთავრდება ჩვენ უნდა ველოდეთ, რომ გალიცია მთელი ბრძოლის ხაზით ახმაურდება.

კავკასიის ბრძოლის ველიდან არა გვაქვს ცნობა შესახებ იმისა, თუ რა ხდება გიუმიშხანში ან და მუშ-ბითლისის მიმართულებით. ოფიციილი დეპეშა გვამცნობს, რომ ურმიის ტბიდან სამხრეთ დასავლეთით, ვალაპასავას მიდამოებში, რუსეთის ჯარს ოსმალების წინსვლა შეუჩერებია.

X.

## ომის დეპეშები

[illegible] 424 ტყვიის მფრქვეველი, 44 ყუმბარის მფრქვეველი და 35 გატენილი თოფი-წამლის ყუთი. სახაროვს—1967 აფიცერი, 87248 ჯარის კაცი, 76 ზარბაზანი, 232 ტყვიისმოფრქმეველი, 119 ყუმბარისმფრქვეველი და 128 სავსე თოფ-წამლის ყუთი. შჩერბაჩევს—1267 აფიცერი, 55,794 ჯარისკაცი, 55 ზარბაზანი, 211 ტყვიისმფრქვეველი, 29 ყუმბარისმფრქვეველი და 129 სავსე ყუთი. სულ 7757 აფიცერი, 350,845 ჯარისკაცი, 405 ზარბაზანი, 1326 ტყვიისმფრქვეველი, 338 ყუმბარისმფრქვეველი და ნაღმისმფრქვეველი და 292 სავსე ყუთი. ამის გარდა წამოღებულია მრავალი ვინტოვკა და 30 ვერსის გასაწყობი სალიანდაგო რკინა, სატელეფონო ქონება და საინჟინრო მასალა.

დასავლეთის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

კავკასიის ასპარეზი. კალა-პასავას რაიონის დასავლეთით ოსმალთა იერიშებს იგერიებენ.

**პარიზი**, 3 მარიამობისთვე. ოფიციალი. სომაზე ფრანგებმა მოქმედება გააძლიერეს, განსაკუთრებით ბულმას სამხრეთით და ლიგონის ჩრდილოე-

[illegible]

## ჟურნალ-გაზეთებიდან

[illegible] -დნენ. ყოფილა მომენტი, როდესაც იტალელთა ჯარს უკან დახევა დაუპირებია, მაგრამ ამ დროს მათ ცხენოსანთა რაზმი მიშველებია და ავსტრიელებსაც ერთი საათის განმავლობაში ქალაქი მიუტოვებიათ.

**იტალეთის მეფე ბრძოლის ასპარეზზე.**

იტალეთის მეფე და მინისტრი ბისსოლატი გორიცის აღების დროს ქალაქის გარშემო თხრილებში ყოფილან და ბრძოლის მსვლელობას გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ. გენერლები ეხვეწებოდნენ მეფეს მიეტოვებინა თხრილები და უშიშარ ალაგს გადასულიყო, მაგრამ მეფე დიდს უარზე თურმე იყო. როცა იტალეთის დროშა გორიცის ძველ ტაძრის გუმბათზე აფრიალდა მეფე და მინისტრი ერთმანეთს გადაეხვივნენ და აღფრთოვანებულნი შევიდნენ ქალაქში.

**პორტუგალია და ინგლისი.**

ამას წინად ინგლისის მთავრობამ პორტუგალიას წარუდგინა მოთხოვნილება, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ უსაჭიროესია პორტუგალიის ჯარმა მეტი მხნეობა გამოიჩინოს და ომში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. ეხლა პორტუგალიის პარლამენტს გადაუწყვეტია ამ მოკლე ხანში დარაზმოს ჯარები და დასავლეთის ასპარეზზე გაჰგზავნოს.

**რუმინეთი და ბულგარეთი.**

რუმინეთის და ბულგარეთის შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. ბულგარელები ეჭვის თვალით უცქერიან რუმინეთის მოსაზღვრე ადგილებში ჯარების შეგროვებას და ყოველ ძალღონეს ხმარობენ, რომ შეიტყონ რუმინელების ძალთა განწყობილება. დობრუჯაში და დუნაის სანაპიროებზე ბულგარელები პროჟექტორებით ანათებენ რუმინეთის სიმაგრეებს და მფრინავთა შემწეობით თხრილებში მუშაობას თვალყურს ადევნებენ.

**საბერძნეთის ვითარება.**

როგორც ბერლინიდან იტყობინებიან საბერძნეთში საპარლამენტო არჩევნების კომპანია დაწყებულა. დაბეჯითებით ამბობენ, რომ არჩევნებში ვენიზილოსი გაიმარჯვებსო. თვით გუნარისიც-კი მოკავშირე სახელმწიფოთა მხარეზე გადასულა, ვენიზილოსის გამარჯვებას ხელს უწყობს და საბერძნეთს ბულგარეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებს.

**ოსმალები შავი ზღვის სანაპიროებთან.**

სევასტოპოლიდან იტყობინებიან, რომ ანატოლიის ნაპირებთან ოსმალებმა რუსების ფლოტის ალყის გარღვევა და კერასუნის ჯარისათვის სავების მიწოდება ერთხელ კიდევ სცადეს, მაგრამ რუსების ნაღმოსნებმა ოსმალების იალქნიან გემების ქარავანი ზღვაში ჩაჰლუპეს.

**გერმანელების წყალქვეშა ნავი.**

გერმანეთის საზღვაო სამინისტროს წყალქვეშა ნავის „დოიჩლანდი"-ს უფროსისაგან დეპეშა მიუღია. კაპიტანი იტყობინება, რომ იგი ამერიკის წყლებს გაშორდა და ამ ჟამად გაშლილ ზღვაში იმყოფება. იგი დარწმუნებულია, რომ შეუფერხებლად მიახწევს სამშობლოს. გერმანელები გულის ფანცქალით ადევნებენ თვალყურს ნავის მოქმედებას და ამბობენ, რომ თუ ვინიცობაა ინგლისის გემები ნავს თავს დაესხმიან და გაუფრთხილებლად ჩაჰლუპავენ ზღვაში, შეერთებულ შტატების მთავრობა ენერგიულ პროტესტს გამოუცხადებს კაცთმოყვარეობის და ცივილიზაციის მტრებსაო.

## უკანასკნელი დეპეშები

ამბობენ, ავსტრიამ შვეიცარიის საზღვარი იმის გამო დაკეტა, რომ ავსტრია დიდძალ ჯარს აგროვებს და ჯარის ნაწილი იტალიის და სერბეთის ფრონტიდან გადმოჰყავს სულ 400,000 მეომარიო. ზოგნი კი საზღვრის დაკეტვას იმით ჰხსნიან, რომ ავსტრიამ ამით დაჰფაროს ყოველი ცნობა, თუ რა ჰხდება ავსტრიასა და ჰუნგრეთშიო.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნატორებს ცირკულიარები დაუგზავნა საგუბერნიო თავად-აზნაურთა წინამძღოლებთან შეთანხმებით დანიშნონ დრო კრებისათვის, რათა მათ დაასახელონ ორ-ორი წარმომადგენელი გარდაცვალებულ საბჭოს სამ წევრის ნაცვლად ახალი წევრების ამოსარჩევად.

—

გერმანეთის ნაღმის მკრეფმა ნავმა შვეციის იალქნიანი „ინესი" შეიპყრო, რომელიც ქერით დატვირთული ინგლისს მიემგზავრებოდა.

—

ვერდენის ასპარეზზე ტიომონის, ფლერის, ვოს და შაპიტრის მიდამოებში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს.

—

სამს მარიამობისთვეს გერმანეთის მფრინავებმა ბელფორთან ყუმბარები ჩამოჰყარეს. მსხვერპლი არ არის.

—

„რეჩი" ამბობს: საყოველთაო ყურადღება მიიპყრო თურქესტანში კუროპატკინის დანიშვნამ. სჩანს, მისი ადმინისტრატიული და ცხოვრების გამოცდილებას დიდად აფასებენ ეხლა, როდესაც უცხო ერებს ომში იწვევენო.

—

„ბირჟ. ვედ." იტყობინება: გერმანელები ჩინეთსა, თურქესტანსა, მონგოლეთში საქონელს ყიდულობენ.

—

გერმანელებს ახალი თოფები მოუგონიათ, რომელშიაც 25 პატრონა ჩადის. ამნაირი თოფებით თითქმის ნახევარი ჯარი შეუიარაღებიათ.

—

აღმოჩნდა, რომ გერმანელები ახლახან მოგონილ შხამიან ბოლს უშვებენ. ეს ბოლი უფერულია, ტკბილი გემო აქვს და კაცს აბრუებს.

—

ოსმალეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს იმ ხმების გამო, ვითომც იგი პალესტინას ებრაელებზე ჰყიდდეს.

—

უკანასკნელ ცნობების მიხედვით, კონსტანტინეპოლში ავსტრიის ბატარიები მიუყვანიათ, რომელიც სივასა და სამსუნში გადაჰყავთ.

—

ჰუნგრეთის მთავრობას განუცხადებია, ჩვენ ყველა ნეიტრალ სახელმწიფოებთან კეთილ განწყობილებაში ვიქნებით, მაგრამ თუ რუმინეთი სემიგრადს დაეცემა, იარაღით დავიცავთ ჩვენს ტერიტორიასაო. ჰუნგრეთის დამოუკიდებლობის მქადაგებელი, პარტიის ბელადი ანონი წინააღმდეგ კოროლიისა საჭიროდ სცნობს გერმანეთთან მჭიდრო კავშირი დაიჭირონ. ტისამაც განაცხადა, რომ ჰუნგრეთი ერთგული იქნება გერმანეთისაო.

—

ტიომონის სიმაგრე ოთხჯერ გერმანელებმა აიღეს და სამჯერ ფრანგებმა დაიბრუნეს. ამ ჟამად იგი გერმანელების ხელშია.

ამ ბოლო დროს თითქოს ორივე მხარე დაიღალაო, ბრძოლა მიაყუჩეს, მხოლოდ არტილერია არ ისვენებს და გამანადგურებელ ბრძოლას ეწევა და ამით ახალ იერიშებისთვის ნიადაგს ამზადებს.

—

დასავლეთ ფრონტზე ბრძოლის მიყუჩებას იმით ჰხსნიან, რომ აუარებელი ჯარია მიყრილი და იმის თადარიგს უნდებიანო. გერმანეთს იქ 122 დივიზია ჰყავს, ხოლო ხხვა ფრონტებზე მოისუსტებსო.

—

გერმანეთის და ავსტრიის მინისტრების თათბირის შემდეგ ფრანციოსებმა მანიფესტი გამოსცა, სადაც პოლონეთს დამოუკიდებლად აცხადებს. პოლონეთის კონსტიტუციას საჯარო ყრილობა შეიმუშავებს. პოლონელები საკუთარს არმიას შეადგენენ. კანცლერი ბეტმან ჰოლვეგი კერძო მოლაპარაკებას გამართავს პოლონელ პარტიის ბელადებთან. მათთ ერთად მოლაპარაკებას ამ დღეებში მოელიან.

—

ბულგარეთის ზღვის სანაპირო ადგილებში, ქვედა-დუნაის მახლობლად, მოსულა რამოდენიმე ავსტრიელი გემი ხიდის საკეთებელ მასალით დატვირთული.

—

ქალაქთა კავშირის ცნობით ამ ჟამად ქალაქ მუშის და ხნის ადგილებიდან მცხოვრებთა და გადმოხვეწილთა ევაკუაცია სწარმოებს. სომეხთა კომიტეტმა გაგზავნა თავისი წარმომადგენლები სურსათის საქმის მოსაწყობად სარიყამიშში და ბასხენ-ხნის პირზე.

—

მუშ-ბითლისის მიმართულებით მომქმედ ოსმალო ჯარებს ხელმძღვანელობს ცნობილი იზეთ-ფაშა.

—

სალონიკში მოელიან ახალ რუსის ჯარს.

—

დანამდვილებით ამბობენ, სპარსეთში მომქმედი ოსმალეთის ჯარის მეტი ნაწილი ბულგარელებისაგან შესდგებაო.

—

ვილნოში მოსულა გენერალი ჰინდენბურგი. აქვე იმყოფება „ბერლინერ ტაგბლატის" სამხედრო განყოფილების გამგე. მოელიან კაიზერსაცო.

—

რუსეთის მოყვარე სტამბოლის სომეხთა პატრიარქი გადაუყენებიათ ახალგაზდა ოსმალების მოთხოვნილებით.

# მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში

### თავი II

**აგრარული მოძრაობა 1902-4 წლებში. დიდი აგრარული გაფიცვა. გენ. სმაგინის ექსპედიცია. გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი და სომხები. კრიმ-გირეის მოგზაურობა. გლეხთა წარმომადგენლების ნალაპარაკევი და მომავალი მოქმედების პროგრამა.**

წინა წერილში აღვნიშნეთ მიზეზი გურულთა გარედ ბაზარზე გასვლისა სამუშაოდ. ამ პროცესს ერთობ ხელს უწყობდა მიწის სივიწროვის გარდა მეტად დაბალი, პრიმიტიული ხარისხის სამეურნეო კულტურა. გუთან-ხარკავი, აი მთელი ავლა-დიდება გურულთა სოფლის მეურნეობისა. ნიადაგი მომოდულდა, ის პატივსა და გასუქებას ითხოვს, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში გლეხკაცის შეგნებას ჯერ იმ დონემდის ვერ მიუღწევია, რომ მიწის ჩივილს ყური ათხოვოს და გაიგოს. გურულები ნიადაგის გასუქება-გაპატივებას რომ არ მისდევენ, ეს განსაკუთრებით იმით აიხსნება, რომ მიწის სივიწროვე-ნაკლებობისა გამო მესაქონლეობას ჯეროვანად ვერ აწარმოებენ. ხე-ტყეც გაჩეხილია, ასე რომ ეს ორი აუცილებელი პირობა ნიადაგის გასუქებისა იმ თავითვე აბრკოლებდა სოფლის მეურნეობის რაციონალ წარმოებასა და ინტენსიურ კულტურის გაჩაღებას. ჩვენ გვეტყვიან: ჩინეთში ურემზე გასასყიდად დადებულ ქართოფილის ძირებიდან დაცვივნულ მიწას არ ჰკარგავენ და ქალაქიდან დაბრუნებისას ნიადაგს უკანვე დაუბრუნებენ, რაც რამდენიმე ხნის წინად მოსტაცეს და მოაგლიჯესო. კეთილი! ასეთი მომჭირნეობისა და დაზოგვის წესი საქართველოშიაც რომ იცოდნენ, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ მარტო ამას აბა როგორ უნდა ეშველნა? გურიაში მიწის სივიწროვეა. სამეურნეო კულტურის გაუმჯობესება კი მოითხოვს ფულს, კაპიტალს. ჩინეთის მაგალითი უბრალო საილიუსტრაციოდ მოვიყვანეთ, თორემ ესეთი წესი აბა რა ნოხატანია იქ, სადაც საკითხი სასოფლო მეურნეობის მთლიან აღორძინებას შეეხება. ჩინური წესი ჩინელთა შორის მიწის სივიწროვეს ჰმოწმობს და არა იმას—თითქო ამ წესით მათ სამეურნეო კულტურა აყვავებულიყოს და წარმტაცი გამხდარიყოს. უფულოდ არა კეთდება-რა: მრავალგვარ გადასახადებით დაბეგრული ქართველი გლეხი თავის მოსავლიდან მცირედ საწილადოსაც ვერ გადასდებს მეურნეობის გასაუმჯობესებელ ძირითად თანხაში. და გლეხს არც არასოდეს უფიქრნია ასეთ თანხის შექმნაზე! ჩვენში ამაზე არც მათ უფიქრნიათ, ვინც უამრავ მიწა-მამულს ჰფლობს. განსაკუთრებით ითქმის ეს გურიის თავად-აზნაურობაზე. ეს წოდება დღეს ნაკლებ კულტურულ და ეკონომიურ ძალას წარმოადგენს იმერეთის სხვა კუთხეებისა და განსაკუთრებით კი თბილისის თავად-აზნაურობასთან შედარებით. მხოლოდ „ლალის" აღებაში გამოიხატება გურიის თავად-აზნაურობის როლი სასოფლო მეურნეობის აღორძინებისა და წარმატების საქმეში. გარდა სამაზრო მარშლისა და დეპუტატთა თანამდებობისა, მას არ მოეპოვება სხვა რამ კულტურულ-ეკონომიური ხასიათის დაწყებულება. კულტურულ-ეკონომიური ხასიათის შემოქმედება გურიაში მხოლოდ მშრომელი გლეხკაცობისა და ინტელიგენციის ხელშია. ვერც ვაჭარმრეწველთა კლასი სდგას თავის შესაფერ დონეზე. ეს კლასიც დამფრთხალია და ნელად, ზოზინით და ათასჯერ გადაფიქრების შემდეგ თუ მიემხრობა რომელიმე საერო მნიშვნელობის საქმესა და დაწყებულებას. განსაკუთრებით ეს ოზურგეთის ვაჭრებზე ითქმის. რაკი წოდებებზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი საჭიროა გურიის სამღვდელოებაზედაც ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ვერ ვიტყვით, რომ გურიის სამღვდელოებაში მომქმედი პირნი არ ერივნენ. უმეტესობა თუ არა, დიდი ნაწილი სემინარიაში სწავლა-მიღებულნი არიან. როგორც სხვაგან, ისე აქაც ეს სამღვდელოება იკრიბება სასულიერო სასწავლებლის გარშემო. გარდა რუსულ სასწავლებლისა სოფლებში სამრევლო სკოლები არსებობს, რომლებსაც მოვლა-პატრონობა და გაძღოლა ესაჭიროება. თავისთავად ეკონომიურ ორგანიზაციებს მოკლებული ღარიბი სამღვდელოება მნიშვნელოვან საქმეებს უძღვება და აწარმოებს. ბევრია, რასაკვირველია, ნაკლი, მრავალი დაუდევრობა სუფევს ქვეყნის ამ საკეთილო საქმეების მართვა-გამგეობაში, მაგრამ გურიის სამღვდელოება, შეგვიძლია ვსთქვათ, არსებობს და ამის მიხედვით საზოგადო ეროვნულ ღირებულებასაც წარმოადგენს. შეცდომას დავუშვებთ მხოლოდ, თუ ვიტყვით, რომ გურიის სამღვდელოება თავის-თავად დაადგა ამ გზასო. არა. უმთავრესად სახელმწიფო ორგანოების კარნახით სწარმოებს ასეთი მოღვაწეობა. სინოდს სოფლებში სამრევლო სკოლები ესაჭიროება. სამღვდელოებაც ამ სურვილის გამტარებელია ადგილობრივად, არც მეტი, არც ნაკლები. რაიმე კორრექტივის, შესწორების შეტანა სინოდის ამ სურვილის განხორციელების ხასიათში, ცენტის კარნახისათვის ადგილობრივი პირობებით გაშუქებული სამოღვაწეო გეგმის დაპირისპირება, ქვეყნის ეროვნულ ხასიათის ტკივილების აღნიშვნა და ამ იდეალებისათვის ფაქიზი და თან აღმაფრენი ბრძოლის გაწევა გურიის სამღვდელოების ბუნებაში არ შედის. უნებლიედ იბადება კითხვა: რამ შეუკრა კაპი გურიის ამ წოდებათა სამებას, თავად-აზნაურობას, ვაჭართა კლასს და სამღვდელოებასაც? ისინი თითქოს შეფიცულან და რაღაც საერთო გამოუცნობელ სფიქსის წინაშე გარინდებით სდგანან!.. ყველა ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ ეგრედ წოდებულ გურიის „აგრარულ მოძრაობაში", რომელიც არსებითად ზემოხსენებულ წოდებათა თუ კლასის წინააღმდეგ იყო მიმართული.

იქ, სადაც თავად-აზნაურობა „ლალას" შეჰყურებს და მეურნეობის გასაუმჯობესებლად გროშ-კაპეიკსაც არ ხარჯავს, სადაც სამღვდელოება „დრამას" ვერ შეჰლევია და მცირედი მსხვერპლი, ერის კეთილდღეობისათვის განწირული, ღვთის რისხვად ეჩვენება, ხოლო ვაჭარი დახლის იქით ქვეყნის საერთო ჭირ-ვარამისათვის გულს არ იძგირებს და თავის არსებობის უზრუნველსაყოფად დამფრთხალ-შეშინებული უკიდურეს პარტიის წევრად ეწერება და მით პირდაპირ დანიშნულებას შორდება და გვერდს უქცევს, ცხადია ერთად-ერთი მშრომელი გლეხკაცობა უნდა გამოსულიყო ასპარეზზე სამოქმედოდ. მან მიმოიხედა გარშემო, ჩაუკვირდა მდგომარეობას, მაგრამ გასაქანი აღარსად იყო. გლეხკაცის ხელში დაგროვილი საწარმოვო საშუალება თავისთავად ვერ აკმაყოფილებდა გართულებულ მოთხოვნილებას. ის უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში, რომელსაც სხვა ქვეყნებში დიდი ხანია რაც დევიზად გაუხდია: „მიწა მშრომელს". ეს ლოზუნგი კეთილ თესლად მიმოიბნა გურიის მიდამოებში და ჰპოვა ნიადაგი პოხიერი გაფურჩქვნა-განსახიერებისათვის. ეს ხანა გურულთა ცხოვრებაში რაღაც საზღაპრო მოგონებათ წარმოადგენს. სოფელში აქა-იქ, როგორც მეტეორი ცის სივრცეში, უცბად იელვებდა უცხო ხმა ვინმე პროტესტანტ-მეამბოხისა, მაგრამ ის მსწრაფლ ჩაკვდებოდა... მწარე დუმილი მოიცავდა ობოლი ხმის წარმომთქმელ პირთა ოჯახსა და ცოლ-შვილს. შორს განუკვეთელ წყვდიადით მოცულ ცივ სივრცეში იფანტებოდა ეს ხმა!.. ესენი იყვნენ პირველი „მქადაგებლები", გურიისა, ხოლო დრო, როცა ისინი მოქმედებდნენ, ქრისტიანობის აღორძინების პირველ ხანას წააგავს. სოფლის მოშორებით კლდე-ღრეებში, ან სადმე მომაღლებულ გორაკებზე ძველი ეკლესიის ნანგრევებში იკრიბებოდნენ ეს „მქადაგებლები" და მოხერხებულად სწრთვნიდნენ მცირე რაზმს, რომელსაც შემდეგ სოფელში პატარა ნაპერწკლისაგან ცეცხლი უნდა დაენთო. ეს საიდუმლო კრებები იმით არის აღსანიშნავი, რომ „დაფიცება" ხდებოდა ხატების საშუალებით. იქ, იმ წმიდა ადგილს ხატის წინაშე სიტყვას სდებდნენ, რომ არ უღალატებდნენ ერთმანეთს და ამ გარდაწყვეტილებით იმედ მოცემულნი და გამხნევებულნი გადიოდნენ სოფლად და იგაავ-არაკისებურად ყანაში მუშაობის დროს ლაპარაკობდნენ რაღაც „მომავალზე", რომელიც რამდენადმე მხოლოდ მოლაპარაკეთათვის თუ იყო ნათელი და გარკვეული. სღამოს ჟამზე კი ეს მოლაპარაკენი კვლავ გაეშურებოდნენ დანიშნულ ადგილს ტყე-ღრეებში, ან ძველ ეკლესიებთა მიყრუებულ გალავნებში „მქადაგებელთა" მოსასმენად, ხოლო დიდი უმრავლესობა ღვთისმოსავ მორწმუნე გლეხკაცობისა სახლში თავის ცოლ-შვილთან ატარებდა ერთფეროვან მუდამ გაჭირვებულ ცხოვრებას...

სოფელში ახალი სიო შემოიჭრა. აქა-იქ უკმაყოფილების ალმაც იფეთქა. სოფ. ხიდისთავში პოლიტიკური დემონსტრაცია მოხდა, რომელშიაც მონაწილეობა [illegible] ღეს. ამის შემდეგ გურიაში დაიწყო შესანიშნავი აგრარული გაფიცვა, რომელიც ზედიზედ სამ წელიწადს მეორდებოდა. ბრძოლა სწარმოებდა უკომპრომისოდ, დათმობაზე არც ერთი მხარე არ ფიქრობდა. 1903—1905 წლამდის გასტანა ამ გაფიცვამ. საუკეთესო სახნავ-სათესი ადგილები დაუმუშავებლად იყო გაჩერებული. მრავალი ზვგანი და ეწრიანი მწირი ადგილები გადახნეს ამ გაფიცვის დროს, რომ გარდაწყვეტილება მწყობრი ყოფილიყო და ნივთიერ შევიწროვებასა და სიმშილს ხელი არ შეეშალა დაწყებულ სახალხო მოძრაობისათვის. საგულისხმოა, რომ მარქსისტული მოძღვრება, რომლის ადებტები მოქმედებდნენ აქ,

**სურათებიანი დამატება** კვირის ნაცვლად უქმეების გამო გაზეთს შაბათს გაჰყვება. დამატებაში მოთავსებულ იქნება: „ლოცვა მეჩეთში“, აჭარელთა საქმის დამცველნი ვექილნი, რუსეთის მოწინააღმდეგის და მოკავშირე სახელმწიფოთა სარდლები და მინისტრები, ჰაეროპლანების ზარბაზნები, ომში დაჭრილნი და ორი კარიკატურა შმერლინგისა. ლექსები: კ. მაყაშვილისა, შ. მღვიმელისა და კ. ჭიჭინაძისა. ტრაგედია ეტიგენია, დავით ჩოლოყაშვილის მიერ თქმული ერეკლეს მეფობის დროს.

# ახალი ამბავი

**ქალაქთა კავშირში.** მთავარრწმუნებულის ბ-ნ ჩელნიკოვის განკარგულებაში ოთხი მილიონი მანეთი გადიდდა ქალაქთა კავშირის საჭიროებისათვის კავკასიის ფრონტზე.

**ტრამვაის მოსამსახურეთა** შუამდგომლობა ომში გაწვევის გამო ფულით დახმარების შესახებ უყურადღებოთ დასტოვა ქალაქის გამგეობამ.

**ვალის გამგრძობ ქალაქის** კომიტეტმა განიხილა შუამდგომლობა ქალაქის ტრამვაის მსახურთა და შეღავათი პირველ იანვრამდე მხოლოდ 68 კაცს მისცა და ისიც მხოლოდ საელექტრო სადგურზე მსახურთ. ვატმან-კონდუქტორების თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა.

**სამხედრო შეღავათი.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა და მოიწონა ამავე საზოგადოების საკოოპერაციო ბიუროს მოხსენება შესახებ იმისა, რომ შეღავათი მიეცეთ ჯარში გაწვევის მხრივ კოოპერატივთა თავმჯდომარეთ, მოანგარიშეთ და ინსტრუქტორებს. ვინაიდან შესაძლოა უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობის პასუხმა დაიგვიანოს, ბიურომ და საბჭომაც უკეთესად სცნეს შესაფერისი თხოვნა და მოსამსახურეთა სიები დაუყოვნებლივ წარუდგინოს საგუბერნიო და სამაზრო შეღავათის მიმცემ კომიტეტებს.

**ქალაქს რამდენი ხორცი სჭირდება.** თანახმად გუბერნატორის მიწერილობისა ქალაქის გამგეობამ გამოარკვია რაოდენობა საჭირო ხორცისა ქალაქისთვის. დღეში ქალაქისთვის საჭიროა: მსხვილფეხი საქონელი 620 სული, წვრილფეხი 1000 სული, ხბო 51, ბატკანი 70, გოჭი 90 და ღორი 400 სული.

**მოსკოვის სახალხო ბანკი** აპირებს კავკასიაში დიდი ოპერაციების შემოღებას ბამბის, ჰარკის და შაბიამანის გირავნობით. როგორც უკვე ვიცით, ამ ბანკის ინსტრუქტორად ამიერ კავკასიაში დანიშნულია ბ-ნი კ. კანდელაკი, რომელიც უკვე შეუდგა ცნობების შეკრებას აღნიშნულ საქონელთა რაოდენობის გამოსარკვევად.

**სამხატვრო სემინარიაში,** გორში 4—18 ენკენისთვიდან უნდა მოეწყოს კურსები მაჰმადიანთა რჯულის და ენის შესასწავლად, იმ მასწავლებელთათვის, რომელნიც შემდეგ ინიშნებიან პირველ დაწყებით მაჰმადიანთა სკოლებში ამიერ კავკასიისა.

**რკინის მადნის ალება.** ი. ა აბაშიძეს ნება დართეს ს. ჭალაში, შორაპნის მაზრა, რკინეულობის და სხვა სასარგებლო მადნეულობის გამოკვლევისა.

**ბაქოს ქალაქის უფროსი** ბ-ნი კოვალიოვი დეპეშით ატყობინებს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მებოსტნეთა საყურადღებოდ, რომ ბაქოში ბოსტნეული არ მოიპოვება და ყოველგვარი ბოსტნეული კარგ ფასებში გაიყიდებაო.

**სასწავლებლებში.** სასულიერო სემინარიაში მისაღები გამოცდანი 18 მარიამობისთვეს იწყება.

— საფერშლო სკოლაში განმეორებითი გამოცდანი 24 და 25 მარიამობ. ხოლო მისაღები გამოცდანი 26, 27 და 31 მარიამობისთვეს. თხოვნების მიღება 15 მარიამობის. იქით აღარ შეიძლება.

— ვაჟთა მეოთხე გიმნაზიაში მისაღები გამოცდანი მოსამზადებელ კლასში 23 მარიამობისთვესაა დანიშნული, ხოლო მოწმობის მიღების გამოცდანი სხვა და სხვა კლასში 23—27 მარიამობისთვემდის.

— იმპერატორ ნიკოლოზ მეორის სახელობის საკომერციო სასწავლებელში განმეორებითი გამოცდანი 20 მარიამობისთვიდან იწყება. მისაღები გამოცდანი I და II კლასში 26 და 27 მარიამობისთვეს. დანარჩენ კლასებში განმეორებით გამოცდის დღეებში.

**მოსკოვის სახალხო ბანკი** ხსნის თბილისში თავის განყოფილებას.

**ხარფუხის კლუბმა** გაუგზავნა 500 მან. „განათლების“ საზოგადოებას.

**შემოწირულება.** ყიზლიარიდან მ. პ. ჯაფარიძისაგან საავარაკო კომისიამ მიიღო 100 მანეთი.

**შუამდგომლობის შეწყნარება.** როგორც ვიცით, ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა კავშირის მთავარ გამგეობის წინაშე, რომ მიმდინარე ხარჯების გასაძლოლად ავანსად მომავალ ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში 4 მილიონი მანეთი მოგვეცითო. როგორც ცნობა მოვიდა, ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

**საომარ საჭიროებისთვის** იღებენ ქალაქის საკრედიტო ბანკის ზეითა სართულს პუშკინის ქუჩაზე. შენობა უნდა დაუცალონ 25 მარიამობისთვეს.

**მებოსტნეთა საყურადღებოდ** ბაქოს სამხედრო უფროსი ატყობინებს დეპეშით კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ ბაქოში ბოსტნის ნაწარმოები სრულიად არ იშოვება და გადატანაც ხელს არ მისცემთ.

**ტრამვაის მოძრაობა ღამით,** თანახმად ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებისა 20 მარიამობისთვიდან იქმნება მოსპობილი.

**მომხმარებელი ამხანაგობა.** თბ. მაზრის სს. პატარძეულისა და ბერთუბნის რწმუნებულებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების შესახებ.

**თავდასხმა.** როგორც გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ სოფ. ლვედის უბანში ადგილობრივ მცხოვრებ დ. გაგლოშვილს ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დასხმია და 413 მან. წაურთმევიათ.

— ს. ნუკრიანში, სიღნაღის მაზრა, ი. დონჯაშვილს 8 კაცი თავს დასხმია და 206 მან. წაურთმევია.

**ტარიფის გადიდება.** მომავალ კვირაში პირველად შესდგება საერთო კრება ქალაქის გამგეობისა და საფინანსო-სატრამვაიო კომისიებისა ტრამვაის ტარიფის შესახებ მოსალაპარაკებლად. რადგან ტრამვაის მოსამსახურეებს ომის გამო სასყიდელი მიემატათ, ამ ხარჯების დასაფარავად საბჭოს განზრახული აქვს ტრამვაის სამოგზაურო ბილეთები გააძვიროს 1 კაპეიკით მაინც. ამ საგნის შემუშავება საბჭოსაგან დავალებული აქვს გამგეობას და აღნიშნულ კომისიებს, რომლებმაც თავიანთი პროექტი ენკენისთვის პირველ რვცხვებში უნდა წარუდგინონ საბჭოს. სარწმუნოდ ამბობენ, რომ ტარიფი უთუოდ გადიდდებაო.

**ფერისცვალობა.** ხვალ 6 მარიამობისთვეს ფერისცვალობის მონასტერი ავლაბარში თვის ტაძრის დღესასწაულსა უქმობს. მწირველია გორის ეპ. ყოვლ. სამღვ. ანტონი.

**სკოლების და განყოფილების დათვალიერება.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგ. გამგეობამ დაავალა სარევიზიო კომისიის წევრს დ. მ. დუმბაძეს დაათვალიეროს ოზურგეთის მაზრაში არსებულ წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებანი ლანჩხუთისა, ჩოხატაურისა, ლიხაურისა და ოზურგეთისა, აგრეთვე ბიბლიოთეკები შემოქმედისა, ბახვისა, ლანჩხუთისა, ოზურგეთისა, სუფსისა და სხვ. შეამოწმოს 1915 წ. შემოსავალ-გასავლის ანგარიშები და განიხილოს მიმდინარე საქმეები და სარევიზიო მოხსენება წარუდგინოს გამგეობას მოკლე ხანში.

**მკვლელობა.** როგორც თბ. გუბერნატორს ატყობინებენ კახეთში მოთარეშე ყაჩაღთა რაზმს მოუკლავს ს. მაღრანში ნიკო ქრელაშვილი.

**ლაზარეთების რევიზია.** ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების საექიმო ნაწილის უფროსის თანაშემწე ექ. ზაბალიანი აზრუმს გაიგზავნა იქაურ ლაზარეთების სარევიზიოდ.

**კონდუქტორი ქალები.** ქალაქის გამგეობა ძლიან კმაყოფილია ტრამვაის ვაგონებზე კონდუქტორებად ძღებულ ქალების მუშაობით. ამ ჟამად სულ 70 კონდუქტორი ქალია.

**საქონლის ჭირი.** თბ. გუბერნატორს ატყობინებენ, რომ ს. საყარაულოში საქონლის ჭირი გაჩენილა.

**დაჭრილნი.** ბრძოლის ველიდან ჩამოიყვანეს და მოათავსეს წმ. ნინოს საავადმყოფოში—პორუჩიკები მ. დ. კურცხალია და ნ. გ. ღამბაშიძე, № 38 საავადმყოფოში გზის ოსტატი ა. ი. ლონლუზაშვილი და პრაპორშჩიკი მ. გ. მახარაძე.

**ქალაქის გამგეობა და საინტენდანტო.** რეკვიზიციის გამო ქალაქის გამგეობამ სასყიდლად ქალაქში ვერ იშოვა ტყავები, რომლებიც წყლის არხისთვის არის საჭირო. ამიტომ გამგეობამ ტყავები სთხოვა განსაზღვრულ ფასებში საინტენდანტოს. თან გამგეობა ატყობინებდა ხსენებულ დაწესებულებას, რომ ტყავები თუ არ მოგვეცით, წყლის დენა შეწყდება ქალაქში და ამგვარად წყალი ჯარებსაც მოესპობათო. საინტენდანტომ არ დააკმაყოფილა გამგეობის თხოვნა.

**ხოლერა.** 4 მარიამობისთვეს საქალაქო ლაზარეთში იმყოფებოდნენ 10 ხოლერიანი და 4 კაცი ხოლერის ნიშნებით. ხოლერიანები არიან: ბისტროვა, ნესტეროვი, ზემაშვილი, მარ. წამალაშვილი, თ. წამალაშვილი, ად. ფაიბერგი, დ. თურქაძე (იუნკერი პრაპორშიკთა სკოლისა), ივ. კროტოვი, პ. ანდრეევი და შეგ-ოღლი ნადირ-ბეგი. ხოლერის ნიშნებით: ფრ. კალი, გ. ხშალაძე, ნინო გოგორიშვილი და ნინო შმულევიჩი.

**მერძევეთა ამხანაგობა.** ლილოს მერძევეთა ამხანაგობამ მიიწვია საამხანაგო ანგარიშების შესამოწმებლად ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორი ბ-ნი მალ. ტოროშელიძე, რომელიც ამ დღეებში წავა.

# გზა და გზა

(გაგრძელება)

**ჭიჭოლა.**

ჭიჭოლა მონადირე გახლავთ. დაბალი, ჩასხმული, მუდამ მოძრავი თვალებით.

ყოველთვის მონადირედ არ ყოფილა. ჰქონდა მიწა, სახნავი, ცოლშვილს იმითი აცხოვრებდა და უფროს ვაჟსაც სოფლის კვალობაზე ასწავლიდა. მაგრამ მამული ჩამოართვეს, როგორც მთელს სოფელს, მამული უკეთეს ფასებში სხვებზე გასცეს. ჭიჭოლამ ვედარა გააწყორა. ნადირობით ირჩენს თავს.

ქვეყნის სიმწვავე მისი გულის წყლულებია. მას ახსოვს კარგი დღეები, წარსულში ნაღვლიანად გადმოგცემთ მამა-პაპათაგან გარდმოცემულს. გაიარეთ მასთან ერთად. ყოველს ფერდობთან შეგაჩერებთ, გეტყვით, რას რა მნიშვნელობა აქვს, სად რა ისტორიული ამბავი მოხდა.

— აი აქ, გამიგონია, ჩვენს სოფელს დარევიან რუსები... თურმე აქეთ მხრით ჩამოსულან... ქალებს გვიუპატიურებდენ... ეჰ, ვინ იცის, რამდენის თავი დაგორებულა ამ ფერდობზე და არაგვში ჩაყრილა, რომ ქვეით მყოფთათვის დაგვემტკიცებია, ჩვენ სტუმრობაც ვიცით, მასპინძლობაც, მტრობაც და მოყვრობაც.

ეჰ, რას გეტყვით ისეთს ჩვენი ჭიჭოლა, რომ „აქტებში“ არ იყოს აღნუსხული! მაგრამ ჭიჭოლას ნათქვამი მაინც სულ სხვაა, გულს გწვდებათ მისი სევდა, იცით. როგორც არის შეჭმუხვნილი მისი შუბლი.

ჭიჭოლა ხნით 45 წლისა იქნება, მაგრამ მსჯელობა გულუბრყვილო აქვს. იგი ნამდვილი ბავშვია, ბავშვი, რომელსაც უბრალო რამე აოცებს და მნიშვნელოვანი და ბუმბერაზი-შიშის აღმძვრელი ამბავი კი აინუნშიც არ მოსდის.

— ამბობენ, მეფე ერეკლემ საქართველო ასი წლით შეუერთა რუს ხელმწიფესაო, მართალია?

— მართალია, ჩემო ჭიჭოლ.

— მერე და ყავლი არ გავიდა?

— მაგას რად კითხულობ?

— იმიტომ, რომა იქნებ ე სალდათი აღარ წაგვართვან, თორემ შენი მტერი, ჩვენ დღე გვადგება. ყელში დანის დამჭერიც არვინ არის.

— არა, ჩემო ჭიჭოლ, ჯერ ყავლი არ გასვლიათ,—ვანუგეშებ,—და არცა მგონია, რომ მალე გავიდეს. ხომ იცი, ასი წელიწადი ერთ დღეს არ ნიშნავს. ჯერ სადაა ასი წელი გასული...

— ეჰე-ჰე!..

მას მარტო ის კი არ აწუხებს, რომ „სალდათის წართმევით“ მეოჯახე არვინ რჩებათ, არამედ, რომ რუსის მოხელეების თავგასულობა ასე აძულებთ მათ მთელს რუსობას, როგორც ეს მოხდა 1804 წლის აჯანყების დროს. მთას ჯერაც არ დავიწყებია განვლილ დღეთა სიმწვავე. წარსულის მოხსენება თუ საზარალოა, აწმყოც არ უქადის რაიმე ნუგეშს. ნახეთ ჭიჭოლა. ის გადაგიშლით მარტივი და სადა ფერადებით, თუ „აბეშჩიკი“ როგორ იქცევა, როგორ ეპყრობა „ლესნიჩი“, „პრისტავი“ ყველა ეს ქვეყნის ღმერთები.

ჭიჭოლასთვის უბრალო ფაქტსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. აი, შეხვალთ მთის კალთებში. ღრმად შეისუნთქავთ მთის ჰაერს. შესვამთ ყინულსავით ცივს ანკარა წყაროს.

— აქ მცხოვრები უნდა უკვდავი იყოს!

წამოიძახებთ უნებურად. მაგრამ ჭიჭოლა შეგაჩერებთ.

— არა, ეგ მართალი არ არის. უწინ, მართლაც, ხანგრძლივ სცხოვრობდნენ ჩვენი მხრის ხალხი, ეხლა კი არა.

თქვენ თვალებს დააჭყიტავთ.

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ სისაწყლე, სისაწყლე... პური არ არის, ხორცი... გასათბობი და ჩასაცმელი. ისეთი დროც კი დადგა, რომ დათვების დასაცინადაც გავხდით.

ჭიჭოლა გიამბობთ თუ რამდენი დათვი მოუკლავს უწინ, დღეს კი ვერ გასულა მათზე სანადიროდ. დათვი გათამამებული სახლში იჭრებათ, ბაკიდან ძროხას იტაცებს, მიაქვს, ქალები და ბავშვები მხოლოდ ცეცხლითა და კივილით იგერიებენ და ჰრეკენ.

რაა მიზეზი? იკითხავთ უნებურად. ჭიჭოლა მოგცემთ პასუხს. მიზეზად მარტო ის როდი [illegible] გამოჩენილი [illegible] დარჩა, არამედ ის, რომ მთას თოფები ჩამოართვეს. ძველად მამა და შვილი თოფზე იზრდებოდნენ. ნადირობა მათი ხელმარჯვეობის გამომწრთობელი იყო დღეს კი მთავრობის განკარგულებით მთაში თოფი აღარ გეპოვება. მტერის დამხვედრი მთა დღეს ნადირსაც ვერ უმკლავდება. მაშ აქვს თუ არა ჭიჭოლას დასაღონებელი? ჰაი-ჰაი, რომ აქვს. ძველი ბერდანის ნაცვლად ეხლა კაჟიანი თოფი უკიდია, მუგუზალი უნდა დაადოს, რომ მოიხმაროს. დათვი კი არა, კურდღელიც კი დასცინებს მას. ასეც იყო. მის წინ გამომხტარ კურდღელს, დაბნევისაგან ყურშეცქვეტილს, როდესაც გაუმიზნა, ჭიჭოლას თოფი გაიფიცა.. არ გავარდა... ჩვენ კი სიცილი დავაყარეთ. ჭიჭოლამაც ჩაიცინა.

ნეტავ რას ფიქრობდა იმ დროს ჭიჭოლა? რამდენად გულწრფელი იყო მისი სიცილი? ჩოხის კალთებ შეკვეცილი მთის ფერდობზე რომ თავჩაქინდრული მიდიოდა, ამხანაგთა სიცილს მეც ნაღვლიანი სიცილით ვუპასუხე და ჩავილაპარაკე მათ გასაგონად:

— საწყალი ჭიჭოლა...

მართლაც, საწყალი...

**დ. კახრაძე.**

(შემდეგი იქნება)

# სოფლად

**1. პატარა ლიახვის ხეობა.**

შევჯექ ჩემს თეთრ ბედაურზედ, გავინავარდე სამშობლოს მიწა-წყლის გასაცნობად და პატარა ლიახვის ხეობას ვესტუმრე.

სოფ. ერედვსა და მერეთს იქით არ მივლია.

გავიარე სოფ. სარაბუკი, სადაც 21 კომლი ოსი ცხოვრობს და ავედი სოფ. ვანათში.

პატარა ლიახვის პირას მდებარეობს სოფ. ვანათი. აქ მამული სახაზინოა, ქართველები ცხოვრობენ, სულ 73 კომლი იქნება. მამული კარგ მოსავალს იძლევა.

ბელოტისა და ორტევის საზოგადოებათა შეერთებით დაარსდა ვანათის საზოგადოება, ამ საზოგადოების სასოფლო კანცელარია სოფელ ვანათში არის გამართული.

ამ ჟამად ვანათის საზოგადოებაში ითვლება 870 კომლი. სოფ. ვანათზედ ორი გზა მიდის, ერთი—გერის ეკლესიისაკენ მიემართება და მეორეც—პატარა ლიახვის ხეობისაკენ. ვერც ერთი მგზავრი ვერ ასცდება ამ გზაზედ გამწკრივებულ დუქნებს, სადაც ოსები და ქართველები ვაჭრობენ. შეძლებით სოფ. ვანათს არა უშავს-რა. აქაურ მკვიდრებს სხვის ბატონობა არ უგემნიათ და ამაყადაც გამოიყურებიან.

ვანათის საზოგადოება სოფლის მოხელეების შესანახად თითო კომლი წლიურად 3 მან. 44 კ. იხდის. მამა-

---

თავის ნამდვილ სახეს არ იჩენდა მოძრაობის პირველ ხანებში და ნამდვილ ხალხოსნურ—ნაროდნიკულ საბუთებითა და იერით ამტკიცებდნენ გლეხკაცობის შეუდავებულ „ბუნებრივ“ უფლებას მიწაზე. „მიწა მას ეკუთვნის, ვინც მუშაობს“, —ეს ნაროდნიკების ხალასი საბუთია გლეხთა ალღოს გასალიზიანებლად ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ლოზუნგი მიზან შეწონილად იყო გადასროლილი და ამიტომ გლეხობაც მისდევდა მათ, ბრმად ემორჩილებოდა, ვინაიდან დიადი და მხიბლავი იყო აღთქმანი და დაპირებანი ახალი ჯურის „მქადაგებლებისა“. ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლა ფრთებს ისხამდა. გურიის ყოველი კუთხე თანდათან გაიმსჭვალა ახალი იდეებით. „მიწა მშრომელს“,— ეს სიტყვები დროს შესაფერ ლოზუნგად გადიქცა, ხალხიც ძალუმად ჩაეჭდო ამ სიტყვებს და სადაც არის მოელოდა თავის აზრების სავსებით განხორციელება - განსახიერებას. ყოველ შემთხვევაში ასე აღარ იქნება, ამბობდნენ ჭკლარა შერთული გლეხები. „ფოშტის ფულიც მოისპობა და გადასახადებს ყველას გააწერენო“, ამბობდნენ მეორენი. თითქმის უბრალო მშვიდობიან ეკონომიურ ბრძოლას არაფერი საერთო არ უნდა ჰქონოდა ქვეყნის მმართველ-გამგებლებთან, ადგილობრივ მოხელეების გართულებულ ეკონომიურ ბრძოლაში ჩარევას გულუბრყვილო გლეხები არ მოელოდნენ, რადგან, თუ სამართალია, გლეხობის ხელში მიწის გადასვლის საწინააღმდეგო არც მთავრობას უნდა ჰქონდეს რამეო, ფიქრობდნენ მათგან მოხუცებულ-ხნიერები. მაგრამ გაფიცვის ხასიათი [illegible] მშვიდობიანი ცხოვრება და მყუდროება დაირღვა და მით ზომიერი ღვთის მმსავი, ხოლო ქვეყნიურ სამართლინობის აზრებით განსხვავებული გლეხობა შეტორტმანდა და გზა იცვალა.

ოზურგეთიდან დასავლეთისაკენ რვა ვერსით მოშორებით ეგრედ წოდებულ გურიანთაში მოხდა გლეხთა გამათრახება. ეს გენერალი სმაგინი მოგზაურობდა თავისი დამსჯელი ექსპედიციით. ერთმა გლეხმა პირადებით სთქვა მთელი სიმართლე დაწყებულ სახალხო მოძრაობისა, რისთვისაც ის მსწრაფლ გაიყვანეს ყრილობიდან და იქვე ხალხის დასანახავად გაამათრახეს. ამ დღიდან ხალხში პოლიტიკური ხასიათის ლოზუნგებიც გადაისროლეს მოხერხებულმა აგიტატორებმა. „ხომ ხედავთ, ამხანაგებო, რომ მთავრობა მემამულეებს უჭერს მხარს, ის მათი მომხმარეა და ამიტომ მის წინააღმდეგაც გვმართებს ბრძოლაო“, ხშირად გაიძახოდნენ ისინი კრებაზე. გენ. სმაგინს დიდხანს აღარ უმოგზაურია გურიაში. ის უკანასკნელი ბიუროკრატი იყო, რომელიც მხოლოდ ხმლის საშუალებით ცდილობდა „ურჩთა“ მორჯულებასა და მით ბრძოლის ქარცეცხლის ჩანელებას. მის შემდეგ ბრძოლა თანდათან განვითარდა და მთლიანი სახალხო მოძრაობის ხასიათი მიიღო. ეკონომიურ - პოლიტიკური ხასიათის ლოზუნგების გადასროლა ხალხში ფრიად ნაყოფიერი გამოდგა. გლეხობა საომრად განიმზადა. გურიის ცის ტატნობი მოიღუშა და რაღაც საბედნიერო ამბავის მოლოდინში ყველანი გარინდებით იდგნენ გამოუცნობელ ამოცანის წინაშე. რა იქნება ხვალ, საით დაგვიძახებენ?.. ფიქრობდა თვითეული. ძველ ყოფაში დარჩენა აღარ შეიძლება, პირზე ეკერა დიდს თუ პატარას. თვითეულ აქტს სახალხო უკმაყოფილების გამოხატვისას „მქადაგებლები“ მოხერხებულად იყენებდნენ საგიტაციო მასალად. მემამულეების შემდეგ ისინი სამღვდელოებასაც სწვდნენ. აქაც ნაცად ხერხს მიმართეს და მოუწოდეს გლეხობას „დრამა“ ფულის მიცემის წინააღმდეგ. „სულიერი მამები“ შეუდგნენ მოხელეების საშუალებებით დრამის გადახდევინებას და აქაც გამომჟღავნდა მართვა გამგებლობის სამღვდელოებისადმი მიდგომა და აშკარა სარჩული ვინღა დარჩა ამის შემდეგ? მემამულენი და სამღვდელოება გლეხობის მოწინააღმდეგე მტრებად—გამოაცხადეს დ გლეხკაცობაც დაურიდებლად შეუდგა მათ წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო ამ უკანასკნელთა სულისკვეთების გამორკვევამ მოხელეების და მთლად ადმინისტრაციის მიდგომილობა და ცალმხრიობაც გამოააშკარავა. ამ გარემოებამ ქვეყნის უმაღლეს მმართველის ყურადღება მიიპყრო და მდგომარეობა საშიშად გამოცხადდა. საქართველოს არც ერთ კუთხეში გლეხთა უკმაყოფილების არა ისმოდა რა. „არსიდან ხმა, არსიდან ძახილი“. ქვეყანა დუმილსა და მყუდროებას მოეცვა და იშვიათი თანხმობა და ერთსულოვნება სუფევდა ერის ორგანიზმის შემადგენელ ნაწილთა შორის. საუკუნეებით მძინარე ქართველი მშრომელი გლეხკაცობა მუდამ ბედის მორჩილი და განგებას ღვთიურ მინდობილი მძიმედ მიაბიჯებდა წინ დროთა უკუნის სრბოლაში და, ვინ იფიქრებდა, თუ ოდესმე ძველი „კოლხიდა“ ახალი აზრებით გაუმასპინძლდებოდა ქართული კულტურის აკვანს და ჩვენის ბედის თუ უბედობის გულ—აღმოსავლეთ საქართველოს. პირველ ხანებში ეს „აზრები“ და თვით მოძრაობა ქართველი ინტელიგენციისთვის გამოურკვეველი იყო. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ქართველი ინტელიგენცია გაოცებით შეჰყურებდა გურულთა გმინვასა და მღელვარების უცხო ხმას. ზოგი მათგანი, როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, გურულებს ქურდების სახელითაც კი ნათლავდა. მით უმეტეს გასაკვირველია ეს, რომ ასეთ აზრებს ავრცელებდა ადამიანი, რომელსაც გურიაში უცხოვრია და ადგილობრივვე ჰქონია საშუალება დაკვირვების და ამ საინტერესო კუთხის მცხოვრებთა ყოფა-მდგომარეობის შესწავლისა. თუ ერთი მიმართულების ინტელიგენცია იმ თავითვე გაირიყა სახალხო მოძრაობიდან, ამის მიზეზად გურულთა მოძრაობით დაუინტერესებლობა უნდა ჩავთვალოთ. ხალხის გული ზღვაა და მას ის დაეპატრონება, ვინც პირველად მივა მასთან და არსებით საჭიროებაზე კეთილისმყოფელის ენით გამოეხმაურება. ეს კეთილისმყოფელობა და ხალხის მეგობრობა, როგორც ვიცით, დაიჩემა ერთი მიმართულების ინტელიგენციამ, რომელსაც პირველად ოდნავ არ ჰქონდა გარკვეული, თუ რაოდენად შეიხამებდა და შეიგუებდა მის პროგრამასა და მოძღვრებას გურიის გლეხკაცობა. ამ საკითხს შემდეგ ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით, მხოლოდ აქ გულმტკივნეულობით უნდა აღვნიშნოთ უმოქმედობა ჩვენი ეროვნული ინტელიგენციისა, რომელსაც გამოეპარა ფრიად ხელსაყრელი შემთხვევა, როცა შესაძლებელი იყო ეროვნულ-პოლიტიკური ლოზუნგებით ხალხში გასვლა და დღეს კი წარსულის ეს შემცდარი ნაბიჯი ვერ იქმნა და ვერ გამოუმჯობესებია.

საქართველოს მდგომარეობა, ეკონომიური ბედოვლათობა და ნათელი პოლიტიკური მომავალი უთუოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რაოდენად მისწვდება ინტელიგენცია ხალხის გულს, თუ რამდენათ ზევით ამოზიდავს იქ დამარგულ მარგალიტებს და საერთო ყურადღების საგნად გახდის მათ. ინტელიგენცია ყოველ შემთხვევას სახალხო მოძრაობის სახით მოვლინებულს მზად მაინც უნდა შეხვდეს, თუ ეს მოძრაობა მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე მოხდა და ადრევე ალლო ვერ აუღო მას. ქართველ ინტელიგენციას ეძინა, როცა გურიაში სახალხო მოძრაობა ისახებოდა და შემდეგშიაც მომხდარ ფაქტს წარსულის უცოდინარმა ანგარიში ვერ გაუწია. მხოლოდ ერთი მიმართულების ინტელიგენცია დაეპატრონა გურიის გლეხკაცობის ახლად გამოღვიძებულ თვითცნობიერებას და მოხერხებულადაც ისარგებლა თავის სოციალ-პოლიტიკურ იდეების გასავრცელებლად. რომელიმე პოლიტიკური იდეალის პოპულიარად ქმნა შეუძლებელია გარეშე სახალხო მოძრაობისა. ეს კარგად იცოდნენ ქართველმა დასელებმა და დროზე აირჩიეს სამოქმედოდ ისეთი კუთხე, რომელსაც საამისოდ მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქთან სიახლოვეც უწყობდა ხელს. ბათომში იმ დროს 14 ათასი სული მუშაობდა ნავთის დამწმენდ ქარხნებში. იქიდან ხელმძღვანელობდნენ ეგრედ წოდებული „მუშათა კომიტეტები“ გურიის სახალხო მოძრაობას. ამ დროს ქართველი ინტელიგენცია თბილისში, მეტი რომ არა ვსთქვათ, მცონარეობას ეძლეოდა და რა გასაკვირველია, რომ უდიდესი სახალხო მოძრაობა მხოლოდ თავის განვითარების უკანასკნელ სახით დარჩა მის მიერ შემცნობილი და გაგებული. სანამდის უსუსური იყო ეს ინტელიგენცია ამბების ცოდნაში, ეს იქიდან სჩანს, რომ აღმოსავლეთი საქართველო მხოლოდ ბ-ნ სიტყვას მიერ „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულ კორესპონდენციის შემდეგ ეცნობა გურულთა მოძრაობის ხასიათსა და საერთოდ იქაურ ამბებს და ეს „გაცნობა“ მოხდა არა ქართველი ინტელიგენციის კერძო თაოსნობით, ან პრესის წარმომადგენელთა დავალებით, არამედ „ცნობის ფურცელმა“ კაცი გაგზავნა მხოლოდ მაშინ, როცა თვით უმაღლესი მმართველობაც შეუდგა თადარიგს გურულთა მოძრაობის გამო. ეს თადარიგი და ამასთან დაკავშირებული ამბები იმდენად მოულოდნელი იყო მაშინდელ საერთო უუფლებობის დროს, რომ ინტელიგენცია—ერთ ხანად—დაიბნა და მხოლოდ პირველი შთაბეჭდილების განელების შემდეგ დაიძრა და შეუდგა რადიკალ სოციალ-ეკონომიურ გეგმების თხზვას და მეორეს მხრით გურიის მოძრაობის ხასიათის გამორკვევამ გამოააშკარავა სრულიად ნაქართველოს საერთო საჭიროებათადმი ახალი მეფის ნაცვლის დამოკიდებულებაც.

**დ. არონიშიძე.**

(გაგრძელება იქნება)

სახლისს წელიწადში 480 მან. ჯამაგირი აქვს, მის მწერალს—600 მან., მის თანაშემწეს—300 მან., კანცელარიის ხარჯი—120 მან., კანცელარიის მოსამსახურეს—100 მან., შენობისთვისაც—120 მან. და მოულოდნელ საჭიროებისთვისაც გადადებულია 1152 მ. წინად თითო კომლი იხდიდა 2 მან. 83 კაპ.

—

სოფ. საცხენეთზედ გავიარე. აქ ცხოვრობენ ქართველები და ოსები, სულ 47 კომლი ითვლება. კარგი ლამაზი სოფელია; დაცემული ვაკეა; სარწყავი ადგილები უჭირავს.

მთელი პატარა ლიახვის ხეობა სოფ. ვანათის გარდა თ-დ ერისთვიანთ, ამილახვრიანთ და ორბელიანს უჭირავთ.

—

სოფ. ბელოტს რომ მივუახლოვდი, პატარა ლიახვის პირას, კლდეზედ, დიდი ციხეა ამართული, ოთხ-კუთხივ კოშკებია აყუდებული. კოშკები გალავნით არის შეერთებული და გარშემორტყმული.

ეს ციხე პატარა ლიახვის ხეობის კარი ყოფილა, რომელიც მტრისათვის დახშული და მიუდგომელი იყო.

პატარა ლიახვის ხეობაში, თითქმის ყოველ სოფელში, მაღლა მწვერვალებზედ, გაღმა-გამოღმა ციხეებია ამართული,რომელნიც ერთი-მეორეს უცქერიან. პატარა ლიახვის ხეობა მთელი თავის ციხე-კოშკებით, ბელოტის ზემოთ, უწინდელ დროში წარმოადგენდა ქართლის მიუვალ ციტადელს; მტრის შემოსევის დროს ხალხი ქარელიდან აქ იხიზნებოდა.

ამ ბელოტის ციხის შესახებ მიამბეს, რომ იგი ბატონიშვილი იულონის სადგომი ყოფილა და შემდეგ შანშე ერისთავს დაუჭერია. ამ ციხის დაჭერის შემდეგ, ერისთავს მეფე ერეკლესათვის ურჩობა გაუწევია; მეფე ერეკლემ შემოუთვალა შანშე ერისთავის, მოურავს ზურაბ ფურცელაძეს: შანშე ერისთავი შეჰკარი და სოფელ-სოფელ შეკრული ჩამოატარე და აქ ჩამომგვარეო. მოურავმაც მეფის ბრძანება შეასრულა და ბატონიშვილს თბილისში ჩაჰგვარა.

ამ დროიდან ერისთავებს ფურცელაძეები თავიანთ მტრებად დაუსახავთ. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსის მთავრობა ეპატრონებოდა საქართველოს და მის მხედრობას წინ უძღოდნენ ერისთავები. სხვათა შორის სოფელ მერეთშიაც შემოუძღვნენ და ფურცელაძეებს სამაგიერო გადაუხადეს.

—

სოფ. ბელოტში ქართველები ცხოვრობენ; სულ 32 კომლი ითვლება, დროებით ვალდებულნი გლეხნი იყვნენ თ-დ ორბელიანისა. დღიურზედ მეოთხედს იხდიდნენ და ტყისას კი ხუთ მანეთსა თითო კომლი.

— მოურავებისაგან დღემდის შეწუხებული ვიყავით,—მითხრა ერთმა მოხუცებულმა გლეხმა,—დღეს კი დღიურზედ თითო მანეთი შეგვაქვს ხაზინაში და ჩვენი შემწუხებელი აღარავინ არის, მხოლოდ ტყის ფულს ისევ ვხდილობთო.

—

სოფ. ბელოტის ზემოთ ხეობა ვიწროვდება, მთები მაღლდებიან და ტყეებით იმოსება.

საღამო ხანი იყო, რომ სოფ. ზონკარს მიუახლოვდი და მთების ჩრდილი მდ. პატარა ლიახვის მჩქეფარე ტალღებში და მის ზურმუხტოვან ნაპირებზედ საუცხოვო სანახავს წარმოადგენდა.

ბელოტსა და ზონკარს შუა პატარა ლიახვი ორ კლდეს თითქოს საგანგებოდ შუაზედ გაუპია დ ორივე მხარეს—კარგა მანძილზედ მისდევს არშიასავით წითელ-კლდოვანი ნაპირები. ამ ნაპირებ შუა მოქუხს აღქაფებული თეთრ-ლურჯ მარმარილოსავით მჩქეფარე პატარა ლიახვი; მის ნაპირებზედ ვერ შენიშნავთ ვერც ერთ კენჭს, ან მიყრილ სილას, თითქოს მთელი კალაპოტი კლდე მარმარილოშია ჩასხმულიო.

Legatus.

## წერილი ლოსიანთ-ხევიდან

(კლდეეთის და კიცხის საზოგადოებანი, შორაპნის მაზრისა).

წელს, საბალახო მთაზე საუბედუროთ საქონლის ჭირი გაჩნდა და მუსრი გაავლო საქონელს. რაღა ეს ეჭირვებოდა ჩვენს დაბეჩავებას: „უბედურ კაცს ქვა აღმართში დაეწევაო“, ჩვენზე სწორეთ ზედ გამოჭრილია. ვიღაც არა მკითხე „ბეითალს“ უთქვამს: მე მოვარჩენ მაგ ჭირისაგან საქონელსაო და ზოგისათვის 5 მანეთი გამოურთმევია და ზოგისათვის 10 მანეთი. ასე სძარცვავენ საბრალო გულ-უბრყვილო ხალხს ეს ქვეყნის ნაძირალები. საჭიროა ასეთის გამანადგურებელ ძალების მოსპობა და სხვა რადიკალური ზომების მიღება უბედურების თავიდან ასაცდენად.

საკვები სურსათის საქმე ძალიან ცუდათაა ჩვენსკენ დაყენებული. ამ მხარეზე მაგრე რიგად სიმინდის მოყვანას არც კი მისდევენ, რადგან ერთხელვე, მიჰყვეს ხელი ვენახის გაშენებას, სიმინდისათვის ნაკლებ ზრუნავენ. სიმინდი ქვემო მხრიდან, გურია-სამეგრელოდან შემოდიოდა, იქაც აღარაფერი მოსულა. დიდი შიმშილობაა მოსალოდნელი. ყველას მოეხსენება, რომ ჩვენში საზოგადოდ მიწის დამუშავება ძველებურის, პრიმიტიულის წესით სწარმოებს: ამ დალოცვილებმა ლაპარაკი დიდი იციან და საქმე კი არსად სჩანს. შარშან ჩვენმა „მხსნელებმა“ ითათბირეს: საჭიროა აგრონომებმა ფართო პროპაგანდა გასწიონ ხალხში მეურნეობის გასავრცელებლადო, უჩვენონ პრაქტიკულად მიწის დამუშავება, იარაღის ხმარება, თესლის დათესვა, გალეწვა და სხვა, მაგრამ ეს თქმა იყო და ასრულება არავის მოსვლია აზრად. ჩვენებური აგრონომები ჯამაგირს ბლომად ღებულობენ და კაბინეტებს კი არ გასცილებიან. ათი წელიწადი იქნება, რაც ზედი-ზედ გვალვებია ჩვენში და სიმინდი ნაკლებად მოდის, წელს ხომ სამი თვეა ციდან ნამი არ გადმოვარდნილა. გვალვების გამო სხვა ხერხს მივმართოთ, სადაც შესაძლოა, სარწყავები გავიყვანოთ, მიწა გავაპოხიეროთ ხელოვნურად, სიმინდის მაგიერად სხვა თესლი, რომელიც გვალვაში გამოდგება, ვსთესოთ, ახალი სამეურნეო იარაღი დავატრიალოთ ხალხში და იქნება ფეხზე წამოვაყენოთ, თორემ, თქვენი მტერია, ჩვენი საქმე ხელიდან წავა!

ძრიელ ცუდათაა საკვების მოწოდების საქმე დაყენებული. ცისმარე დღეს ხედავთ ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას ტომარით იღლიაში გარჭობილთ ზესტაფონს, სიმინდი კი არსადაა. თუ გაჩნდა, ვერ მიხვალთ, შეიქნება ერთი ორამ-ტრიალი, ვინ ვის ასწრობს, ვინ ნათლი მამობით და მეგობრობით, ვინ ძალ-ღონით შოულობს. ზოგი კი ერთი კვირა ელოდება და კიდევ ვერ ეღირსება სიმინდის წაღებას. წაიღებს ორ ფუთს და მეორე დღეს სიმინდისთვის უკანვე ბრუნდება. შინ გამცდარია მუშაობას, აქაც ვერას შოულობს. ასეთი წესიცაა შემოღებული: დაადგენს ერთი საზოგადოება განაჩენს ე. წ. გამოსაკვები თანხიდან მიეცეს სიმინდიო და ახლა ის ერთი საზოგადოება ღებულობს. მეორე კი პირში შესჩერებია. უკეთესი არ იქნებოდა მთელს მაზრას ერთსა და იმავე დროს დაედგინა ეს თანხა დახმარებოდა ამ გაჭირვებულს დროს და მიცემოდა სიმინდი ბლომად, რომ ხალხს ერთი ორი თვით სული მოეთქვა. გარდა ამისა სიმინდი უნდა დარიგებოდა სხვა და სხვა ალაგებს და არა მარტო ზესტაფონს, ერთის მაგიერ რამდენიმე საწყობი გაემართათ და მაშინ ცოტათი მაინც მოწესრიგდებოდა სასურსათო საქმე ჩვენში. ჩვენ ასეთი სურათის მნახველი გახლდით ამ დღეებში. ერთს დღეს დაბ. საჩხერეს მოაწყდა ხალხი, ნამეტურ დედაკაცები, სიმინდის საყიდლად. ერთი ვაგონი სიმინდი მოსულიყო და იმის მოლოდინში იყვნენ, როდის დაგვირიგებენო. სიმინდის მიმღებსა და ვიღაც „პოდრაჩიკს“ თათბირი გაემართათ, რა მაზანდაში უნდა გაყიდულიყო.

ნაშუადღევის 3 საათმა მოატანა. სიმინდი არ მისცეს. გამოვიდნენ თვალცრემლიანი ქალები და შესჩივლეს ჟანდარმს: გვიშველე, ბავშვები გვყავს მშივრები შინ მიტოვებული და გაგვატანეთ სიმინდიო; ჟანდარმა ყურადღება არ მიაქცია და ატირებული ხალხი გარეკა ბაქანიდან. როდესაც ურჩიეს ხალხს ბოქაულს მიმართეთო, ასე მიუგეს: ბოქაული სადღაც ქეიფობსო. ესაა მზრუნველობა!..

თუ დღეს შიმშილი მეფობს ჩვენკენ და ამის შემდეგ რაღა იქნება? ხალხი დიდს სასოწარკვეთილებაშია. რომელ ერთს უბედურობას გაუძლოს ხალხმა, ომი, შიმშილი, გვალვა, ჭირი, სნეულება და ათასი დავიდარაბა. ადგილობრივ ორგანიზაციებმა: კოოპერატივმა და საკრედიტო დაწესებულებებმა უნდა იღონონ რამე, თორემ ვილუპებით!

ეფრემ მცირე.

## დაბა-სოფლები

დ. სურამი. მკათათვის 31-ს და მარიამობისთვის 1-ს გამართული იყო საზოგადო კრება ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოებისა, რომელზედაც გამოირკვა, რომ ეს საზოგადოება თურმე იურიდიულად აღარ არსებობს, რადგანაც არც ერთ წევრს და არც გამგეობის თავმჯდომარეს არ გადაუხდია საწევრო გადასახადი. რასაკვირველია ეს უნდა აიხსნას საზოგადოების უმოქმედობით, თორემ წევრებიც ეყოლებოდა. პირველ დღეს გადასწყვიტეს ახალი წევრების მიღება და ძველის დატოვება ვინც მოისურვებდა, რადგანაც ასეთმა საზოგადოებამ უნდა უეჭველად იარსებოს. სხვათა შორის ძველ გამგეობას, არ ვიცი რა მოსაზრებით, ლიკვიდაციის მოხდენაც უნდოდაო, მაგრამ კრებაზედ დამსწრენი წინააღმდეგ წავიდნენ: თუ თქვენ არ შეგიძლიანთ მუშაობა, მოვსულვართ საშველად ვიმუშაოთ და ლიკვიდაციას ნუ მოვახდენთო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ძველ გამგეობას როგორღაც არ ესიამოვნა ახალი წევრების მიღების საკითხი და სცდილობდნენ ან არ ჩაეწერათ, ან არა და ნაკლები მიეღოთ. სხვათა შორის ძველ გამგეობის თავმჯდომარემ ბ-ნმა შალიბაშვილმა უშვერად მიმართა კრებას, უწოდა „ყაჩაღთა ბრბო“ თუ რაღაც ამგვარი. არ არის საკადრისი. ერჩეოდნენ კრებაზედ ორი წითელ „რუბაშკიანი“ ქალიშვილნი, რომელნიც ვერასგზით ვერ დასვეს თავიანთ ადგილას. ღელავდნენ და ვინც ძველ მამგ. წინააღმდეგ სიტყვას იტყოდა, პირში ვარდებოდნენ. ერთი ისე აღელდა, რომ მეზობლის ქუდზედ დაჯდა სკამის მაგიერ. როგორც იყო მეორე კრებაზე გადასწყვიტეს ახალი გამგეობის არჩევა და აქ ისეთი ერთი მეორის მიმდგომლობა გამოიჩინეს, რომ ენით აუწერავია. ძველ გამგეობას ისეთი წევრები დაესწრო ზოგნი, რომ კაცს არასდროს სურამში არ უნახიათ მგონი. ერთგვარი წევრნი ყველა წევრთ გვარებს აღემატებოდა. საეჭოა. იყო შემთხვევა, როდესაც კაიხნის დახოცილ წევრთა „ხმებიც“ გაჩნდა, მაგ. მარიამ ნოდიასი (აქ გამგეობამ განაცხადა „შევცდით“ (?!). ბოლოს კრება ისე აღელდა, რომ იტყვიან: „ძაღლი პატრონს ვერ იცნობსო“ ეს იყო სწორედ. პატივც. მსახიობმა დადიანმა, რომელიც თავმჯდომარეობდა კრებას, უარი განაცხადა, რადგანაც ზარით და ყვირილით სიმშვიდის დამყარება ვერ შესძლო (აღნიშნულ რიცხვს მესამე თავმჯდომარე გამოიცვალა) აქ დაამტკიცეს ქართ. საზოგადოებამ, რომ ჩვენ მართლაც ინტელიგენცია არ გვყოლია. ავადმყოფი მსახ. შალიკაშვილი და მრავალი დამსწრენი გაკვირვებულნი იყვნენ, ამნაირი კრება არსად გვინახავსო. არ ვიცი რა მიზეზით, ამ აურ-ზაურის დროს გაჩნდნენ კლუბის მამასახლისნი (კლუბის ბინაზედ იყო კრება) და მოსთხოვეს კრება დაეხურათ, რადგანაც „ვითომც ლოტოს სათამაშოთ“ ხალხი მოვიდა და დარბაზი გვჭირდებაო. რასაკვირველია, კრება შესწყდა მიუხედავად იმისა, რომ ლოტო გარედ გაიმართა დე დარბაზი სულ ცარიელი იყო. ნეტა რა მოსაზრებით მოხდა ეს? დავიჯეროთ კლუბი, სადაც 44 წევრიდან 33 ქართველია ასე ეპყრობა ქართ. საზოგადოებას?! კრება შესწყვიტეს მაშინ, როდესაც კენჭისყრამდე რამდენიმე წუთიღა სჭირდებოდათ და შესწყვიტეს არა თხოვნით, არამედ კლუბის მამასახლისთა კატეგორიული ბრძანებით.

სირცხვილი სურამის ინტელიგენციას. დროა გამოფხიზლდეთ და ფხიზლის თვალით შეჰხედოთ ცხოვრებას. თქვენ ამით არცხვენთ თქვენ თავსაც და მთელ ქართველობასაც, რის ნება თქვენ არ გაქვთ. სხვათა შორის აღსანიშნავია აქ ქართველური ჯიუტობა და ყვირილ-ღრიანცელი.

მილოში.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ 14 თიბათვის სახალხო სახლში დიდუბის უფასო ბიბლიოთეკა - სამკითხველოს სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისათვის დიდად პატივცემულ **ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილს**, ქ-ნ **ა. ქიქოძეს** და ქართული სექციის სცენის მოყვარეთ. ბიბლიოთეკის გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის აგრეთვე ქ-ნ **ე. ნათალიშვილს** და ბ-ნ **ა. კოტარიას**, რომლებმაც უახლოესი მონაწილეობა მიიღეს ბილეთების ხელზე გაყიდვაში, და რკინის გზის მართველობის კომერციულ განყოფილების მოსამსახურეს ბ-ნ **მ. კაჭარავას** ოთხი ქართული წიგნის (დუტუ მეგრელის ლექსთა და მოთხრობათა პირ. და მეორე კრებული, დონ-კიხოტი, 1903 წლის ჟურნალი „მოამბე“) და 59 რუსულ სხვა და სხვა დარგის მწერალთა ნაწერების შემოწირვისათვის.

დიდუბის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს **გამგეობა.**

## შემოწირულება

გიგზავნით 25 მანეთს, **ქართველთა მოღვაწეთათვის აგარაკის** ასაშენებლად.

მიტო ანანიაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
### მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ 58 „ | საღ. |

**გერმანიაში მყოფ დატყვევებულთა ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანიაში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

**Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.**

ან კიდევ მეორე:

**Banque populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.**

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:**

> Швейцарія — Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.


**თუ გსურთ, მიმართეთ**

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

**ცნობების კონტორას**
**ი. თ. გვათუასას**
თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

**შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.**

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

**ხელმისაწვდენ ფასებში**

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასშ
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

**საუკეთესო კახური**
**ღვინის საწყობი**
**ადამ ზურაბის ძის**
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

**საგალანტერიო მაღაზია**
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და**
**ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

ღვინის საწყობი
**ნიკო გ. სესიაშვილისა**
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
**კახური ღვინო**
განოვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

**ქ. ბაქოში**
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელაანი“**
**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
**„განათლება“-ში**
**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.
პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.
ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**თევზის მრეწველნი**
**ძმ. ძეზველოვები**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საიჯარო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოხნე“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინაჩიბე.